

სახელი: ელენე

გვარი: რეხვიაშვილი

ასაკი: 14 წლის

სკოლის სახელწოდება: ფოთის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა

კლასი: IX კლასი

## **„წერილი ევროპელ თანატოლს-დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე“**

ჩემო მეგობარო, არ გეგონოს, რომ ჩემს ქვეყანას ისეთივე პატარა ისტორია აქვს, როგორიც თვითონაა. მისი თითოეული კუთხე ინახავს სამშობლოსთვის თავგანწირული გმირების სახელებს. მე მეამაყება, რომ ვცხოვრობ იქ, სადაც მთელი ერი ერთი მიზნისთვის იბრძოდა და ეს დამოუკიდებლობა იყო. მოგეხსენებათ, რომ მისი მოპოვება ძნელია, ხოლო დაკარგვა კი ადვილი. დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე ბევრი ჭირი და ლხინი გაგვივლია, ბევრჯერაც დავმარცხებულვართ, მაგრამ ფეხზე მაინც დავმდგარვართ. ერთი სულისკვეთებით გაერთიანებულ საზოგადოებას „ცხრათავიანი დევებიც“ დაუმარცხებია, თვითონ კი ამ ბრძოლიდან ღირსეულად გამოსულა. ჩვენი წინაპრები საკუთარ თავზე წინ ქვეყნის ინტერესებს აყენებდნენ, რადგან შთამომავალთა საგმოდ არ გაეხადათ თავი და გვეცხოვრა ისეთ ქვეყანაში, სადაც თავისუფლება არ არის სათქმელად მარტივია, მაგრამ მის მოსაპოვებლად საუკუნეების განმავლობაში ვიბრძოდით, ბევრი ტანჯვა და იმედგაცრუება ვიგემეთ ამ გზაზე. ქვეყანა, რომელსაც მყარი რწმენა და საკუთარი ენა ჰქონდა, არ გადაშენდებოდა. დავიწყოთ იქედან, როცა რუსეთმა „გეორგიევსკის ტრაქტატის“ პირობები არ შეასრულა, ქართული ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმდა, ქართული ენა რუსულმა ჩაანაცვლა. ჩვენი ძლიერი მხარე ის იყო, რომ ბოლო იმედსაც ვებღაუჭებოდით და ფარხმალს არ ვყრიდით. ამის ნათელი მაგალითია XIX საუკუნეში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შექმნა, რომელმაც გააღვიძა ჩვენში ეროვნული სულისკვეთება და მოგვიწოდა გვებრძოლა ნათელი მომავლისთვის. საქართველოს თითოეული კუთხის წარმომადგენელი თავისი ხელობით ერთ მუშტად იყო შეკრული. მწერლები კალმითა და სიტყვით იბრძოდნენ, მეომრები ფართითა და ხმლით. ბრძოლას კი ყოველთვის მოაქვს შედეგი. მხოლოდ დამოუკიდებელ ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანს შეუძლია იცხოვროს საკუთარი სურვილების მიხედვით, იყოს წარმატებული, იაზროვნოს გონივრულად და იყოს თავისუფალი. 1918 წლის 26 მაისს საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა და შეიქმნა დემოკრატიული რესპუბლიკა, თუმცა ეს მხოლოდ სამი წელი გაგრძელდა. ამის შემდეგ 70 წელი ელოდა ქვეყანა დამოუკიდებლობას, მაგრამ ქართველ ხალხს არასდროს დაუკარგავს იმის რწმენა და სურვილი, რომ მას დაიბრუნებდა. როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისაშია“ ნახსენები: „ძნელ არს ცხოვრება სამეფოსი, როს უჭვრეტდეს იგი ომსა დღე-დღითი!“. მუდმივად ბრძოლის რეჟიმში მყოფი ქვეყანა მაინც არ იღლებოდა, არ იხევდა უკან და მეტიც მიისწრაფოდა თავისი იდენტობა შეენარჩუნებინა მომავალი თაობებისთვის. 1921 წლის 25 თებერვალს წითელი არმიის შემოსვლასა და საქართველოს გასაბჭოებას უამრავი ახალგაზრდა შეეწირა. კოლაუ ნადირაძის ლექსში, რომელიც ამ დღეს ეძღვნება, ნათლად ჩანს საქართველოს მდგომარეობა. მან ეს დღე ქვეყნის სიკვდილს შეადარა. გავიდა სისხლიანი წლები და 1991 წლის 9 აპრილს საქართველომ აღიდგინა დამოუკიდებლობა.

დამოუკიდებლობა მოპოვებული ხალხი მეტად გალალდა,თითქოს გათავისუფლდა მარწუხებისგან და ცაში მონავარდე ფრინველს დაემსგავსა, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ თავიდან სწავლობს ფრენას.მიუხედავად ამ სილალისა,ის გამუდმებით ელოდა მოსალოდნელ საფრთხეს, რადგან მას თავისუფლებას არ აპატიებდნენ.მან ღირსეულად გაუძლო მასზე რამდენჯერმე დიდ მტერს და მომავალ თაობას საამაყო წარსული დაუტოვა.

ჩვენ დამოუკიდებლობის მოპოვებამდეც მივისწრაფოდით ევროპული ღირებულებებისკენ, მაგრამ სხვა ქვეყნები მუდმივად ცდილობდნენ ავტორიტეტის შელახვას, რათა ხელი შეეშალათ ჩვენი მიზნებისთვის. ცდილობდნენ დაგვეკარგა ჩვენი იდენტობა. მკაცრ ჩარჩოებში აქცევდნენ ჩვენს აზროვნებას და არ გვითვებდნენ არჩევის უფლებას.თუმცა ყოველ სიბნელეს ნათელი მოსდევს,ბოროტებაზე აუცილებლად იმარჯვებს სიკეთე.ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას მუდმივად გვქონდა უფლის იმედი და რწმენა,ამიტომ შეუძლებელი იყო ჩვენი გაქრობა. მე მესმის ჩემი წინაპრების თავდადების და ახლა ჩემი დროა ღირსეულად გავაგრძელო მათი დატოვებული საქმე. ახლანდელ თაობას გვიჩქევს წინაპრების სისხლი და ყოველთვის ვიქნებით იმ მხარეს,სადაც ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავალია. ალბათ, პატარა ერის ბედია იყოს მუდამ ხელჩართულ ბრძოლაში,დაამტკიცოს თავისი სიძლიერე და ადგილი დიდ ერებს შორის.

ეს არის ყველაფერი, რაც ამ წერილში ჩავატიე. თუ დაინტერესდებით ჩემი ქვეყნით, სიამოვნებით მოგიყვებით სხვა საინტერესო ფაქტებს ჩემი ქვეყნის მდიდარი ისტორიიდან.

პატივისცემით, თქვენი თანატოლი, ელენე რეხვიაშვილი

Name: Elene

Surname: Rekhviashvili

Age:14

School Name: Poti School of Physics and Mathematics

Grade:IX

**Letter to a European Peer – From Independence to Freedom**

Dear Friend,

Although Georgia is a relatively small country in terms of geography, its historical legacy is immense. Every corner of our land bears the names of heroes who sacrificed their lives for the nation's prosperity. I am proud to live in a country whose people have always yearned for independence and freedom. Gaining independence is a monumental struggle; losing it, sadly, can happen in the blink of an eye. Yet, no matter the hardship, we have always risen again.

Our nation, united in spirit, has demonstrated the strength to overcome even the most formidable foes — the “nine-headed devils” of our history — with dignity and resolve. For our ancestors, the interests of the homeland were sacred, outweighing personal gain or comfort. They strived to be remembered with honor, so that future generations, like ours, could grow up in a land where freedom is not a dream, but a right.

Though it may seem straightforward, our freedom was forged through centuries of pain and perseverance. A country grounded in its faith and language will never truly perish. Consider the period when Russia violated the Treaty of Georgievsk, abolished the autocephaly of the Georgian Church, and imposed the Russian language in place of our own.

Still, we never let go of hope. A shining example is the national liberation movement of the 19th century, which reignited our national spirit and called upon every citizen to fight for a better tomorrow. From every region of Georgia, people united — writers wielded their pens as weapons, warriors defended with shields and swords. Each one gave what they could.

But every struggle has its price. Only those who live in a truly free country can live by their own values, achieve success, think freely, and experience real liberty. On May 26, 1918, Georgia declared its independence and became a democratic republic — an era that lasted only three years. It then took 70 long years before we could reclaim our sovereignty. Yet our people never abandoned hope or determination.

As Nikoloz Baratashvili once wrote in *The Fate of Georgia*, “It is hard to live in a kingdom constantly shadowed by war.”

Despite the endless battles, Georgia never lost its spirit. On February 25, 1921, the Red Army invaded, leading to the Sovietization of Georgia. Many young lives were lost, and our national soul was wounded — a tragedy captured powerfully in Kolau Nadiradze’s poem, which likened the event to the death of a nation.

Decades passed, and on April 9, 1991, Georgia regained its independence. In that moment, we were like a bird released from captivity — uncertain, yet ready to soar. However, freedom remained fragile, as external threats loomed and our sovereignty was again challenged.

Even before regaining independence, we aspired to the ideals of Europe. But larger powers sought to suppress our identity, constrain our minds, and rob us of the right to choose our own destiny. Yet, light always follows darkness, and good ultimately prevails over evil.

As a nation under the special protection of the Virgin Mary, we have never lost faith in God. This spiritual resilience has kept us alive through the darkest of times. We remember the martyrs of our past not as distant legends, but as part of our living legacy. Their blood runs in our veins, and we — the new generation — are ready to carry their mission forward with honor.

Perhaps it is the destiny of small nations to remain ever vigilant, always fighting to prove their worth. But I believe that, in doing so, we shape a future worthy of our proud and enduring heritage.

This is all I managed to put in this letter. If you get interested in deep details I proudly and with great satisfaction will write you more.

Regards from your peer,

EleneRekhviashvili